ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1527745

ნომერი: AR1255509

თარიღი : 05.10.2014

გაცემის თარიღი : 08.10.2014

გაცნობის თარიღი : 08.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ურიცკი , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ურიცკი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა, შესახვევი II, №21, სართული 10, ბინა №48

ორგანიზაცია:

- შპს "ვაუ" კოდი: 406062004

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ურიცკის ქ. N26 / ურიცკის ქ. N24–ში, დროებითი ხის ღობის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემას.
გაცნობებთ, რომ სამუშაოები, რომლის განხორციელებაზეც ითხოვთ I კლასის წერილობითი თანხმობის გაცემას, გათვალისწინებული უნდა იყოს 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად შედგენილ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში და არ შეესაბამება I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს, შესაბამისად სამსახური თქვენს მოთხოვნას I კლასის სამუშაოებზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს. ამასთან, დამკვეთი ვალდებულია იქონიოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე.
ხოლო, I კლასის – 4 მ–მდე სიმაღლის მქონე ღობის მოწყობისათვის წერილობითი დასტურის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: შესაბამისი ფოტომონტაჟი, განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი და საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.